საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვახვახიშვილები

ვახვახიშვილები, თავადური გვარი კახეთში. იოანე ბატონიშვილის მიხედვით მათი წინაპრები, ვახვახად წოდებულნი, თავდაპირველად სამცხეში სახლებულან, XIII ს. ბოლოს კახეთში გადასულან და თელავს დასახლებულან; იწოდებოდნენ ვ-ად და ბაზიერთხუციშვილებად; ამათივე განაყოფები არიან ზაალისშვილები, ყორჩიბაშისშვილები და კახისშვილები. ყველაზე ადრე იხსენიებიან 1492–97 კათოლიკოს აბალაკის საბუთში, რ-შიც ვახვახიშვილი ზუბელა დასახელებულია მოწმედ კახეთში მცხეთის კუთვნილი მამულების საზღვრების დადგენის ამბავთან დაკავშირებით. ვახუშტი ბატონიშვილს (XVIII ს.) ვ. შეყვანილი ჰყავს კახეთის „უწარჩინებულეს და შემძლებელ მთავართა” სიაში. მისივე მტკიცებით, 1587 ერთ-ერთი ვახვახიშვილი გამოცხადებულა შაჰ აბას I-თან და გამაჰმადიანებულა, ხოლო შაჰ-აბასის მიერ ერევნის ციხის აღების (1604 წ. 8. VI) შემდეგ, როდესაც მას ალექსანდრე II კახთა მეფისათვის წაურთმევია გაღმა მხრის კახეთის აღმ. ნაწილი – კაკ-ელისენი და წუქეთი – ამ ტერიტ. მმართველად, ალის-სულტნად, სწორედ გამაჰმადიანებული ვ. დაუსვამს. მისი რეზიდენცია იყო „ქურმუხი, სიმაგრე დიდშენი, და აწ სახლი ალისსულტნისა”. თელავში შემორჩენილია უფრო გვიანდელი ხანის – XVIII ს. ვახვახიშვილების ციხე.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 4, თბ., 1973; იოანე ბაგრატიონი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, რომელნიცა აღწერილ არიან ძველად მეფეთაგანცა (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფონდი №550), თბ., 1997.

ნ. ასათიანი